

10. აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს ზოგიერთი აქტის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტრომ 1991 წლის 31 ივლისს გამოსცა ბრძანება # 342, რომელითაც აფხაზეთის სახალხო განათლების სამინისტროს, სახალხო განათლების საქალაქო და რაიონულ განყოფილებებს, აფხაზეთის სკოლამდელი და სასკოლო სწავლების არაქართული დაწესებულებების დირექტორებს (გამგეებს) ეკრძალებათ ჩარიცხონ ქართველი ეროვნების ბავშვები არაქართულ სკოლამდელ დაწესებულებასა და სკოლების პირველ კლასებში.

მრავალეროვანი აფხაზეთის პირობებში დამახასიათებელია შერეული ქორწინებანი, ამის შედეგად ბავშვები ყოველთვის ვერ ლაპარაკობენ ენაზე, რომელიც მათ ეროვნებას შეესაბამება და ობიექტურ მიზეზთა ძალით ქართველი ეროვნების ბავშვისათვის მშობლიური ხდება არაქართული ენა. ესოდენ კატეგორიული ფორმით გამოცემული ბრძანების შესრულება კი დაბრკოლებას შეუქმნის ბავშვის ნორმალურ სწავლებას. სწავლების ენის არჩევის უფლება ყველა შემთხვევაში მშობელს რჩება და უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის რეალურ შესაძლებლობებს. ზემოაღნიშნულის მსგავსი ბრძანებები კი არადემოკრატიული და არაჰუმანურია და მნიშვნელოვად ლახავენ ადამიანის უფლებებს.

საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები პირველად არ მიმართავენ რეალურ ცდებს, მიიღონ გადაწყვეტილება საკითხებზე, რომლებიც განეკუთვნება აფხაზეთის განსაკუთრებულ კომპეტენციას: დირექტიული მითითება აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტროსადმი, შეცვალოს თავისი სახელწოდება აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროთი და განათლების სისტემის დაწესებულების ბეჭდის, შტამპისა და აბრის ნიმუშების შესახებ საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წლის 5 ივლისის # 288 ბრძანების დანართი-დებულება. ამ დოკუმენტების შესაბამისად აფხაზეთის სახალხო განათლების ორგანოებს უწესდებათ ჰქონდეთ ბეჭედი, შტამპი, აბრა, რომელშიც უნდა აისახოს საქართველოს რესპუბლიკის და საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროსადმი ზემოაღნიშნული დაწესებულებების განსაკუთრებული კუთვნილება შესაბამისი წარწერებისა და გერბის სახით ავტონომიური რესპუბლიკის სახელწოდებისა და აგრეთვე მისი გერბის აღნიშნავად.

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი ადგენს:

1. ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ და არ შესრულდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წლის 31 ივლისის # 342 ბრძანება.
2. ჩაითვალოს იურიდიული ძალის არმქონედ და არ შესრულდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე დებულება განათლების სისტემის დაწესებულებების ბეჭდის, შტამპისა და აბრის ნიმუშების

შესახებ (საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს 1991 წლის 5 ივლისის # 288 ბრძანების დანართი).

3. აფხაზეთის ასსრ სახალხო დეპუტატთა რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომის საქალაქო და რაიონულ შინაგან საქმეთა განყოფილებებმა, აგრეთვე ქ. სოხუმის შს სამმართველომ არ გასცენ ნებართვა აღნიშნული დებულების თანახმად ბეჭდებისა და შტამპების დამზადებაზე.

4. აფხაზეთის სახალხო განათლების სამინისტრომ შეიმუშავოს და ორი კვირის ვადაში წარადგინოს აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოში აფხაზეთის სკოლამდელ და სასკოლო დაწესებულებებში ეროვნული ენების სწავლების ხარისხის გაუმჯობესების პროგრამა.

5. აფხაზეთის ასსრ სახალხო განათლების სამინისტრომ თავის საქმიანობაში იხელმძღვანელოს აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 24 იანვრის # 34 დადგენილებით, აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს 1988 წლის 26 ივლისის # 149 დადგენილებით და აგრეთვე აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს, აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს, სსრ კავშირის სახელმწიფო და აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, სახალხო განათლების სისტემის სხვა აქტებით. საქართველოს რესპუბლიკის განათლების სამინისტროს და ხელისუფლების სხვა ორგანოების გადაწყვეტილებანი და აქტები ამიერიდან სამოქმედოდ მიიღონ მხოლოდ აფხაზეთის ასსრ უზენაეს საბჭოსთან და აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან შეთანხმების შემდეგ.

(...)

აფხაზეთის ასსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ვ. არძინბა.

1991 წლის 27 სექტემბერი.

(გაზეთი «Республика Абхазия», № 13, 1991 წლის 10 ოქტომბერი. საკუთარი თარგმანი)